

## შეთანხმება

საქართველოს მთავრობას და შპს „ჯორჯიან ურბან ენერჯის“ შორის 2007 წლის 29 მაისს დადებულ „ურთიერთგაგების მემორანდუმში“ (შესწორებული 2009 წლის 10 აპრილს) ცვლილებების შეტანის თაობაზე

წინამდებარე შეთანხმება დაიდო 2013 წლის 18 თებერვალს თბილისში, შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა (შემდგომში "მთავრობა") წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის კახა კალაძის მიერ;

შპს „ენერგოტრანსი“ (შემდგომში „ენერგოტრანსი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის კახა სეხნიაშვილის მიერ;

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ირინა მილორაავას მიერ;

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“), წარმოდგენილი სულხან ზუმბურიძის მიერ;

შპს „საქართველო-ურბან ენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“), რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, წარმომადგენელი ნოდარ კურტანიძის და მურათ ქუჩუქის მიერ.

სს „გეს საქრუსენერგო“ (შემდგომში წოდებული, როგორც: „საქრუსენერგო“) წარმოდგენილი ბიძინა ჭყონიას მიერ.

### 1. მიზანი

წინამდებარე შეთანხმების მიზანია საქართველოს მთავრობასა და შპს „ჯორჯიან-ურბან ენერჯის“ შორის 2007 წლის 29 მაისს დადებულ (შემდგომში შესწორდა 2009 წლის 10 აპრილს) ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში „მემორანდუმი“) შემდეგი ცვლილებების შეტანა:

### 2. მუხლი 2 - ურთიერთგაგების მემორანდუმის საგანი

1. შეიცვალოს მემორანდუმის „მუხლი 2“-ის ფრაზა - „78 მეგავატიანი“ და იგი ჩანაცვლდეს „85 მეგავატიანი“-თ.

2. მემორანდუმის მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის პუნქტები:

„(i) კომპანია დააპროექტებს, ააგებს, ამოქმედებს, გამოცდის და ექსპლუატაციაში მიიღებს:

ა) ფარავნის ჰიდროელექტროსადგურიდან 500/400/220კვ ახალციხის ქვესადგურამდე ერთჯაჭვა 220 კვ. სიმძლავრის გადამცემ ხაზს (გადაცემის შესაბამის საშუალებებთან ერთად) (შემდგომში „ერთჯაჭვა 220კვ გადამცემი ხაზი“). „კომპანია“ ამუშავებს, გამოიყენებს, მართავს, ფლობს და ჯეროვან მდგომარეობას შეუნარჩუნებს ერთჯაჭვა 220კვ გადამცემ ხაზს. 500/400/220კვ ახალციხის ქვესადგურის მშენებლობას და ოპერირებას განახორციელებენ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და შპს „ენერგოტრანსი“; ან

ბ) ფარავნის ჰიდროელექტროსადგურიდან 500/400/220კვ ახალციხის ქვესადგურამდე ორჯაჭვა 220 კვ. სიმძლავრის გადამცემ ხაზს (გადაცემის შესაბამის საშუალებებთან ერთად) (შემდგომში „ორჯაჭვა 220კვ გადამცემი ხაზი“). ასეთ შემთხვევაში, „ორჯაჭვა 220კვ ხაზი“ საკუთრებაში გადაეცემა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს, რომელიც უზრუნველყოფს ამ ხაზის ექსპლუატაციას. 500/400/220კვ ახალციხის ქვესადგურის მშენებლობას და ოპერირებას განახორციელებენ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და შპს „ენერგოტრანსი“.

ასეთ შემთხვევაში კომპანიისათვის, მის მიერ ორჯაჭვა 220 კვ. გადამცემ ხაზზე ფაქტობრივად განხორციელებული ინვესტიციების ხარჯების ანაზღაურება მოხდება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ. კომპანია უფლებამოსილია ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის მოქმედების პერიოდში გამოიყენოს ორჯაჭვა 220 კვ. გადამცემი ხაზი ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამოუმუშავებული სრული სიმძლავრის გადაცემის მიზნით.

კომპანიის გადაწყვეტილება ორჯაჭვა 220 კვ. გადამცემი ხაზის მშენებლობის თაობაზე წარმოადგენს კომპანიას და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს შორის შეთანხმების საგანს. აღნიშნული შეთანხმება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ხაზის ხარისხის, მშენებლობის ვადების, პროექტის ღირებულების და კომპანიის მიერ რეალურად დახარჯული ინვესტიციების ანაზღაურების პირობების შესახებ. მხარეთა შორის აღნიშნულ საკითხებზე შეუთანხმებლობა ან მოლაპარაკებების პროცესის დაგვიანება არ ათავისუფლებს კომპანიას წინამდებარე მემორანდუმით აღებული ვალდებულებების შესრულებისგან, ასევე

აღნიშნულის გამო კომპანიას არ აქვს უფლება მოითხოვოს მშენებლობის და ექსპლუატაციაში გაშვების ვადების გახანგრძლივება.

(ii) კომპანია, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დააპროექტებს, ააშენებს, აამოქმედებს, გამოცდის, გამოიყენებს, მართავს, ფლობს, ჯეროვან მდგომარეობაში შეინარჩუნებს მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზს ფარავნის ჰიდროელექტროსადგურიდან თურქეთში საქართველოს საზღვართან ახლოს მდებარე ქვესადგურამდე, საქართველოსა და თურქეთის მთავრობებს შორის შესაბამისი ურთიერთდაკავშირების საჭიროების შესახებ შეთანხმების დადების შემთხვევაში.

(iii) კომპანიას ენიჭება ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული სიმძლავრის 400 კვ. გადამცემი ხაზით გადაცემის უფლება ახალციხიდან თურქეთის საზღვრამდე. აღნიშნულ 400 კვ. გადამცემ ხაზს („საექსპორტო ხაზი“) ფლობს და ოპერირებას გაუწევს შპს „ენერგოტრანსი“. აღნიშნულის მიზანია ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია თურქეთის ენერჯის სისტემაში.

(i), (ii) და (iii) პუნქტებს ერთობლივად ეწოდება „გადაცემის პროექტი“.

შპს „ენერგოტრანსი“, სს „საქრუსენერგო“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ და კომპანია „Take or Pay“ პრინციპის საფუძველზე ხელს მოაწერენ შესაბამის შეთანხმებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის მიერ საექსპორტო ხაზის გამოყენების უფლებას ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემის მიზნით. შპს „ენერგოტრანსი“ და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ უზრუნველყოფენ შესაბამის სიმძლავრეს, ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის შესახებ შეთანხმების და კონკრეტულ პერიოდში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რათა შესაძლებელი გახდეს ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემა 49 წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადის დინება დაიწყება ფარავნის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის დაწყებიდან.

ზემოაღნიშნული შეთანხმება აგრეთვე უნდა მოიცავდეს ორჯაჭვა 220 კვ.გადამცემ ხაზზე ელექტროენერჯის გადაცემის და მისი გამოყენების პირობებს „i (ბ)“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“

### 3) მუხლი 3 - მემორანდუმის ვადები და პირობები

1. შეიცვალოს მემორანდუმის მუხლი 3-ის პრეამბულა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ურთიერთგაგების მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების სრულად უკუგებამდე („კომპანიის“ მიერ მესამე მხარეთათვის ელექტროენერჯის გაყიდვიდან და/ან ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ჩათვლით), მაგრამ არაუმეტეს ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებიდან 15 წლის განმავლობაში. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულებისა და ამოქმედების თარიღად დგინდება 2015 წლის აგვისტო“.

2. მემორანდუმის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3.3 პუნქტი:

„3.3. მე-3 მუხლის თანახმად, მემორანდუმის მოქმედების ვადა არ იქონიებს გავლენას კომპანიის საკუთრების, ოპერირების, ან მოქმედების უფლებებზე გადაცემის პროექტთან დაკავშირებით“.

### 4) პუნქტი 3.4 - საურავები

მემორანდუმის მე-3 მუხლს დაემატოს 3.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.4 - საურავები“

1. იმ შემთხვევაში თუ კომპანია დაარღვევს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების ვადას, კომპანიას დაეკისრება საურავი შემდეგი ოდენობით:

- i. 100 აშშ დოლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილების დღიდან 30-ე დღის ჩათვლით;
- ii. 200 აშშ დოლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილების 31-ე დღიდან მე-60 დღის ჩათვლით;
- iii. 500 აშშ დოლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილების 61 დღიდან 90-ე დღის ჩათვლით;
- iv. 1000 აშშ დოლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილების 91 დღიდან ვადაგადაცილების სრულ პერიოდზე.

2. კომპანიის მიერ მასზე დაკისრებული საურავი გადახდილი უნდა იქნას საქართველოს მთავრობისაგან / საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსაგან წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 60 დღის ვადაში.“

## 5) მუხლი 4 - ტერმინთა განმარტებები და აბრევიატურები

1. შეიცვალოს ქვემოთ მოცემული ტერმინები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კომპანია“ ნიშნავს შპს „საქართველო-ურბან ენერჯი“-ს, საიდენტიფიკაციო კოდი: 204885044, დასახელება ინგლისურ ენაზე LTD „Georgian-Urban Energy Ltd.“;

მემორანდუმის ყველა პუნქტებში „ჯორჯიან ურბან ენერჯი“ შეიცვლება „საქართველო-ურბან ენერჯი“-ით.

„საქრუსენერგო“ - სს „საქრუსენერგო“.

„კომპლექსი/სადგური/ჰიდროელექტროსადგური/ფარავნის

ჰიდროელექტროსადგური/პროექტი“ არის კომპანიის მიერ სამცხეთ-ჯავახეთის რეგიონში (საქართველო) ასაშენებელი 85 მეგავატიანი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური, მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი დანადგარები და აღჭურვილობა, გადამცემი საშუალებების ჩათვლით. ტერმინი აგრეთვე გულისხმობს პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე კომპანიის მიერ გაყვანილ შიდა კომუნიკაციებს.

2. მემორანდუმის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი ტერმინები:

„დარიცხული პროცენტი“ გულისხმობს პროექტის დაფინანსებისათვის საჭირო ძირითად თანხაზე დაგროვილ საპროცენტო ხარჯს, დაანგარიშების თარიღისათვის.

„კომპენსირებული მხარე“ მე-14 მუხლის - „რისკ-ფაქტორები“ მიზნით გულისხმობს აქციონერებს, კრედიტორებს და/ან კომპანიას (შესაბამისად).

„ენერგოტრანსი“ გულისხმობს შპს „ენერგოტრანს“.

„შეთანხმება ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის შესახებ“ ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის შეთანხმება საქართველოს ენერგოსისტემაში მიერთების და თურქეთში ელექტროენერჯის ექსპორტის შესახებ.

„საექსპორტო ხაზი“ - მნიშვნელობა განმარტებულია 2(iii) მუხლში.

„გაზრდილი ხარჯი“ გულისხმობს ა) ყველა გადასახადს, მათ შორის საბაჟო გადასახადს, საშემოსავლო გადასახადებსა და სხვა ნებისმიერ საგადასახადო ხარჯს, რომლითაც იბეგრება კომპანიები საქართველოში „ურთიერთგაგების მემორანდუმის“ მე-14 რისკ-ფაქტორის მუხლის თანახმად ბ) კომპანიის მიერ მისი ქვეკონტრაქტორებისათვის გადასახდელი თანხა „რისკ ფაქტორის“ დადგომის შემთხვევაში

„დაფინანსების დოკუმენტები“ გულისხმობს ნებისმიერ და ყველა სასესო ხელშეკრულებას, მათ შორის საიჯარო ხელშეკრულებებს, საკრედიტო ხელშეკრულებებს, მოკლევადიან სასესო ხელშეკრულებებს, ობლიგაციებს, წერილობით ხელშეკრულებებს,

უსაფრთხოების ხელშეკრულებებს, ურთიერთ-დაქვემდებარების შეთანხმებებს, კრედიტორებს შორის ხელშეკრულებები, სასესხო ან ობლიგაციების შესყიდვის ხელშეკრულება, ჰეჯირების ხელშეკრულებები, თანამონაწილეობის ხელშეკრულებები და სხვა ფინანსური დოკუმენტები გამოშვებული კომპანიის, მისი გარანტორების ან/და აქციონერების მიერ პროექტის ხარჯების დასაფინანსებლად.

„საქართველოს კანონმდებლობა“ ნიშნავს ნებისმიერ სახელმწიფო ან ადგილობრივ კანონს, საკანონმდებლო აქტს, ბრძანებულებას, წესს, კოდექსს, ბრძანებას, სასამართლო გადაწყვეტილებას, სასამართლო აკრძალვას ან დადგენილებას, მათ შორის (მაგრამ არა მხოლოდ) საქართველოს მიერ ხელმოწერილ ორმხრივ ან მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა თუ დებულებებს.

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ნიშნავს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს.

„საერთაშორისო სტანდარტები“ ნიშნავს საერთაშორისო სტანდარტებსა და სამშენებლო პრაქტიკას, საქართველოს კანონმდებლობას, რომლის საფუძველზედაც ხდება მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების დაპროექტება, მშენებლობა, ამოქმედება, გამოცდა, ექსპლუატაციაში მიღება და ოპერირება.

„კრედიტორები“ ნიშნავს ფინანსურ დაწესებულებებს, რომლებიც გამოყოფენ პროექტისათვის საჭირო ფინანსურ რესურსს კომპანიისათვის გაცემული სესხის სახით.

პრინციპი „Take or Pay“ ნიშნავს პრინციპს, რომლის მიხედვითაც ელექტროენერჯის გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის შესახებ შეთანხმების პირობების საფუძველზე:

ა) შპს „ენერგოტრანსი“ უზრუნველყოფს საექსპორტო ხაზზე შესაბამისი სიმძლავრის ხელმისაწვდომობას ჰიდროელექტროსადგურზე გამომუშავებული ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნით. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში ენერგოტრანსი გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის შესახებ შეთანხმების მიხედვით კომპანიას აუნაზღაურებს განაცდურ მოგებას, რაც წარმოიშვა საექსპორტო ხაზით ელექტროენერჯის თურქეთში ექსპორტის განხორციელების შეუძლებლობის გამო, იმის გათვალისწინებით, რომ ამ პერიოდში კომპანიას გააჩნდა შესაბამისი მოცულობით ექსპორტის განხორციელების შესაძლებლობა;

ბ) კომპანია თანახმაა გადაუხადოს ენერგოტრანსს საექსპორტო ხაზის მეშვეობით ელექტროენერჯის გადაცემის მომსახურების კანონმდებლობის თანახმად განსაზღვრული საფასური. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გამოიყენებს ენერგოტრანსის მიერ უზრუნველყოფილ სიმძლავრეზე ნაკლებს, კომპანია ენერგოტრანსს აუნაზღაურებს აგრეთვე აუთვისებელი სიმძლავრის გადაცემის მომსახურების კანონმდებლობის მიხედვით განსაზღვრული საფასურს გადაცემის და დისპეტჩერიზაციის შესახებ შეთანხმების

პირობების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული პირდაპირ გამოდინარეობს ენერგოტრანსის ან/და მთავრობის მიერ ამ მემორანდუმის პირობების დარღვევიდან.

„გადამცემი საშუალებები“ ნიშნავს ბოძებს, კაბელებს, საიზოლაციო მასალებს, ტექნიკასა და სხვა მსგავს ალჭურვილობას, რომლებიც შეადგენს „კომპანიის“ მიერ ასაგებ გადამცემ ხაზს და, აგრეთვე, კომპანიის მიერ წინამდებარე დოკუმენტის პირობების თანახმად გადაცემის პროექტის მიზნით შესყიდულ მიწის ნაკვეთებს.

„გადამცემი ხაზი“ ნიშნავს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით „კომპანიის“ მიერ ასაშენებელ მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემ ხაზს, რომელიც შედგება გადამცემი საშუალებებისგან.

„გადაცემის პროექტი“ - მნიშვნელობა განსაზღვრულის მე-2 მუხლში.

„ძირითადი საკრედიტო მოთხოვნები“ გულისხმობს შემდეგი ნაწილების ჯამს: ა) ძირითადი თანხა, ბ) დარიცხული პროცენტი, გ) წინასწარ გაწეული ხარჯი.

„აქციონერთა შენატანები“ ნიშნავს აქციონერთა წილს კომპანიაში, რომელიც განისაზღვრება მათ მიერ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიციის ოდენობით, რაც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, აქციონერთა კუთვნილ სასესხო ვალდებულებას (პროცენტი მსგავს სასესხო ვალდებულებაზე) და ამ აქციონერების ნდობით აღჭურვილი პირების შენატანებს ან გამოშვებულ აქციებს დაანგარიშების თარიღისათვის.

„წინასწარ გადასახდელი ხარჯები“ - აღნიშნავს წინასწარ გადასახდელ ხარჯებს გაანგარიშების თარიღისათვის, რომელიც შედგება ქვემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი პუნქტის ჯამისგან: ა) საპროცენტო პერიოდის დარღვევის პირგასამტებლო ხარჯები; ბ) ჰეჯირების პირგასამტებლო საპროცენტო ხარჯები; გ) სავალუტო გაცვლის კურსის ჰეჯირების პირგასამტებლო ხარჯები და დ) სხვა პირგასამტებლო ხარჯები, რომელიც მოეთხოვება კომპანიას წინასწარ გადაიხადოს საკუთარ ხარჯებთან მიმართებაში.

„ძირითადი თანხა“ - აღნიშნავს გაანგარიშების თარიღისათვის ძირითადი სესხის თავნის დასაფარად საჭირო სახსრებს.

„პროექტის ფასი“ აღნიშნავს ყველა პირდაპირ ან/და არაპირდაპირ (i) დანახარჯებს, ღირებულებას, საფასურს, გადასახადებს ან ვალდებულებებს, რომლებიც არის ან იქნება გადახდილი აღჭურვილობის, დიზაინის, დაგეგმარების, შესწავლის, კვლევის, შრომის, მიწის შესყიდვის, კონფისკაციის, მშენებლობისათვის (პროექტის მონაწილე ყველა კონტრაქტორისა და ქვე-კონტრაქტორის მიმართ არსებული გადასახადების ჩათვლით) და ასევე მოთხოვნილი ნებართვების მისაღებად გაწეული სხვა ადმინისტრაციული დანახარჯი, ღირებულება, საფასური, გადასახადი ან ვალდებულება, რომელიც გადაიხადა ან გადაიხდის კომპანია

პროექტთან დაკავშირებით; (ii) ასევე იმ დანახარჯებს, ღირებულებას, საფასურს, გადასახადებს, ან ვალდებულებებს, რომელიც გადაიხადა ან გადაიხდის კომპანია პროექტის განხორციელებასა და ოპერირებისათვის; (iii) ასევე პროექტის ჰეჯირებისა და დაფინანსებისათვის საჭირო ყველა ხარჯსა და (iv) პროექტის განვითარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

„ძირითადი სესხი“ - აღნიშნავს კომპანიის მიერ დაფინანსების დოკუმენტების შესაბამისად გადახდილი ან გადასახდელი თანხის სრულ ოდენობას.

3. ამოღებულ იქნას ტერმინი „კანონმდებლობა“.

4. მემორანდუმში ყველა მინიშნება და მითითება „კანონზე“, „საქართველოს კანონებზე“, „მოქმედ კანონმდებლობასა“ და „კანონმდებლობაზე“ შეიცვალოს ტერმინით „საქართველოს კანონმდებლობა“.

## 6) მუხლი 5 - საქართველოს მთავრობის ვალდებულებები

1. შეიცვალოს მემორანდუმის მე-5 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში „კომპანიას“ უზრუნველყოფს შემდეგით:

I. გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე კომპლექსის და გადაცემის პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის, ფლობისა და მართვის ისევე, როგორც ელექტროენერჯის გამომუშავების, გადაცემისა და გაყიდვის ექსკლუზიური უფლებებით, თუ „კომპანია“ შეასრულებს წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ მის ვალდებულებებს.

II. იმ შემთხვევაში თუ „კომპანია“ შეასრულებს საქართველოს კანონმდებლობის ყველა მოთხოვნასა და პირობას „მთავრობა“ თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმარება „კომპანიას“ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად პროექტის განხორციელებაში.

III. საქართველოს მთავრობა თანახმაა, რომ კრედიტორებმა შესაძლოა გამოიყენონ იძულებით აღსრულების უფლებები „კომპანიის“ მიმართ, თუ „კომპანია“ დაარღვევს დაფინანსების დოკუმენტების პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერ დროს „კომპანიის“ მიერ მისი საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო კრედიტორები გადაწყვეტენ დაფინანსების დოკუმენტებიდან გამომდინარე თავიანთი უფლებების იძულებით აღსრულებას, ისინი ვალდებული არიან



შეტყობინება გაუგზავნონ საქართველოს მთავრობას („შეტყობინება უფლებების იძულებითი განხორციელების თაობაზე“).

საქართველოს მთავრობის მიერ უფლებების იძულებითი აღსრულების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ და მისი მიღების დღიდან 6 თვიანი ვადის გასვლამდე, კრედიტორები უფლებამოსილნი არიან წარუდგინონ საქართველოს მთავრობას „კომპანიის“ შემცვლელი იურიდიული პირი („სანაცვლო იურიდიული პირი“). ამგვარი ჩანაცვლების განსახორციელებლად, კრედიტორები ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები აცნობებენ საქართველოს მთავრობას მათ გადაწყვეტილებას („შეტყობინება ჩანაცვლების შესახებ“) და მიაწვდიან მას ყველა საჭირო ინფორმაციას სანაცვლო იურიდიული პირის შესახებ, მის შესამოწმებლად. ამგვარი შემოწმება დაეფუძნება საქართველოს მთავრობის მიერ მსგავს პროექტებთან დაკავშირებით გამოყენებულ ობიექტურ კრიტერიუმებს და დაუშვებელია მისი დაუსაბუთებელი შეჩერება ან შეფერხება. კრედიტორები და მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები ან/და სანაცვლო იურიდიული პირი უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ საქართველოს მთავრობასა და სანაცვლო იურიდიულ პირს შორის ურთიერთობაში ახალი პირობები, იმის გათვალისწინებით, რომ ეს პირობები არსებითად უნდა ემთხვეოდეს წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებულ პირობებს.

ჩანაცვლების შემდეგ საქართველოს მთავრობის უფლებები კომპანიის მიმართ წარმოადგენს საქართველოს მთავრობის უფლებებს სანაცვლო იურიდიული პირის მიმართ. საქართველოს მთავრობა და სანაცვლო იურიდიული პირი და/ან კომპანია განახორციელებენ შესაბამის იურიდიულ პროცედურებს, როგორცაა:

- (i) სანაცვლო იურიდიული პირი ჩანაცვლებს კომპანიას ურთიერთგაგების მემორანდუმში;
- (ii) სანაცვლო იურიდიულ პირს მიენიჭება ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული კომპანიის ყველა უფლება და ვალდებულება;
- (iii) საქართველოს მთავრობას დაეკისრება ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული მოვალეობები სანაცვლო იურიდიული პირის მიმართ.

IV. თუ საქართველოს მთავრობა გადაწყვეტს რაიმე მიზეზით შეწყვიტოს ურთიერთგაგების მემორანდუმი, იგი ამის შესახებ წერილობით შეატყობინებს კრედიტორებს („შეტყობინება შეწყვეტის შესახებ“) და მოუთითებს შეწყვეტის მიზეზს („ვალდებულებების შეუსრულებლობა“) და შეწყვეტის ძალაში შესვლის თარიღს. შეწყვეტა დაუშვებელია კრედიტორთა მიერ შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 6 თვეზე ადრე. აღნიშნულ

პერიოდში კრედიტორები უფლებამოსილნი, მაგრამ არა ვალდებული, არიან განახორციელონ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

- (i) კომპანიის სახელით გამოასწოროს შეუსრულებელი ვალდებულება, რა შემთხვევაშიც საქართველოს მთავრობის უფლება, შეწყვიტოს ურთიერთგაგების მემორანდუმი შეწყდება და/ან
- (ii) დაასახელონ სანაცვლო იურიდიული პირი, იმ პირობით, რომ სანაცვლო იურიდიულ პირს კრედიტორთა აზრით ექნება ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული „კომპანიის“ ვალდებულებების შესრულების ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობა და იგი მისაღები იქნება საქართველოს მთავრობისთვის, რასთან დაკავშირებითაც საქართველოს მთავრობა და „კომპანია“ გააფორმებენ შესაბამის დოკუმენტს და განახორციელებენ სათანადო ქმედებებს აღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლის მიზნით და რის შედეგადაც სანაცვლო იურიდიული პირი მემორანდუმში ჩაანაცვლებს კომპანიას. ჩაანაცვლების შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის უფლება, შეწყვიტოს ურთიერთგაგების მემორანდუმი შეწყდება და სანაცვლო იურიდიული პირის მიმართ გამოიყენება ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-5 მუხლი, ნაწ. 3, (i), (ii), (iii) პუნქტების დებულებები.

V. მხარეები ადასტურებენ, რომ უფლებების გადასვლა ვალდებულების შესრულებლობისას არის შეთანხმება მესამე პირის სასარგებლოდ, რაც რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 349 მუხლით, რომლის მიხედვითაც კრედიტორები დამოუკიდებლად უფლებამოსილნი არიან მე-5 მუხლში მითითებული უფლებების განხორციელებაზე.

VI. მთავრობა აცხადებს და კისრულობს ვალდებულებას, რომ მის მფლობელობაში არსებული ნებისმიერი მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლება, სერვიტუტი ან/და მასზე გადაადგილების უფლება, რაც საჭიროა პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის, ამოქმედების, გამოცდის, დამტკიცების, ფუნქციონირების, გამოყენების, მართვისა და ჯეროვან მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის, გადაეცემა „კომპანიას“.

VII. მთავრობა ეთანხმება, რომ წინამდებარე პროექტი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. თუ კომპანია ვერ მოილაპარაკებს კერძო მესაკუთრეებთან, მთავრობა მისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმარება მას მფლობელობის და სერვიტუტის უფლებების მიღებაში ნებისმიერ ისეთ კერძო მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროა პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის, ამოქმედების, გამოცდის, დამტკიცების, ფუნქციონირების, გამოყენების,

მართვისა და ჯეროვან მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის. აღნიშნული უფლებები გადაეცემა და მიენიჭება „კომპანიას“ განუსაზღვრელი ვადით.“.

#### 7) მუხლი 11 - ნებართვები

მემორანდუმის მე-11 მუხლის მე-2 ხაზზე სიტყვა „პროექტი“ შეიცვალოს „ჰიდროელექტროსადგური და გადამცემი ხაზები“-თ.

#### 8) მუხლი 14 - რისკ ფაქტორები

შეიცვალოს მემორანდუმის მე-14 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

“I. „რისკ-ფაქტორებია“:

(i) საქართველოს კანონმდებლობის, ნებისმიერი ადმინისტრაციული თუ სასამართლო გადაწყვეტილების ცვლილება, დისკრიმინაციულად მიმართული მხოლოდ კომპანიის ან/და პროექტის მიმართ და არა სხვა მსგავსი კომპანიების ან/და პროექტების მიმართ და რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ: ა) ხელს უშლის ან აყოვნებს კომპანიის მიერ პროექტით გათვალისწინებულ მშენებლობას ან ბ) ხელს უშლის, აბრკოლებს, ზღუდავს, უარყოფითად მოქმედებს, დროებით ან საბოლოოდ წყვეტს „კომპანიის“ უფლებებს პროექტის გამოყენებაზე ან ფუნქციონირებაზე, ან გ) კომპანიას უქმნის დამატებით ხარჯებს, აყენებს ზიანს ან დ) ზღუდავს ქართული ლარის კონვერტირებას ევროში, აშშ დოლარსა ან თურქულ ლირაში ან თანხების გადარიცხვას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

(ii) კომპანიის სამშენებლო გრაფიკისა და საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საქართველოს მთავრობის მიერ კომპანიისთვის ყველა სათანადო ნებართვის, ლიცენზიის, თანხმობისა და/ან ექსკლუზიური უფლებების არ მინიჭება ან სხვა ორგანოთა მიერ მინიჭების ვერ უზრუნველყოფა, რაც საჭიროა პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის, ამოქმედების, გამოცდის, დამტკიცების, ფუნქციონირების, გამოყენების, მართვისა და ჯეროვან მდგომარეობაში შენარჩუნებისთვის იმ პირობით, რომ კომპანიამ შეასრულა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები; ან მთავრობის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აღნიშნული ნებართვების, ლიცენზიების, თანხმობებისა და/ან ექსკლუზიური უფლებების ანულისრება, შეწყვეტა, გაუქმება ან მოდიფიცირება (კომპანიის თხოვნით განხორციელებული მოდიფიკაციების გარდა) „კომპანიის“ მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და პირობების სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში.

(iii) საქართველოს მთავრობის მიერ პროექტის ან კომპანიის წილების ან აქტივების მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამორთმევა, კონფისკაცია ან ნაციონალიზაცია,

შეზღუდვები იმპორტზე, ნავსადგურების, გადაზიდვისთვის, ნავიგაციისთვის თუ მომსახურებისთვის საჭირო შენობა-ნაგებობების დახურვა.

(iv) საქართველოს მთავრობის მიერ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

II. რისკ-ფაქტორის შემთხვევაში დაზარალებული მხარე უფლებამოსილია, მიიღოს შესაბამისი კომპენსაცია რისკ-ფაქტორის არსებობის პერიოდში, როგორც ეს მითითებულია ქვემოთ.

შესაბამისი რისკ-ფაქტორის შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს შეუძლია გაუგზავნოს მთავრობას წერილობითი შეტყობინება და მოითხოვოს კომპენსაცია ქვემოთ მითითებული თანხების ჯამის ოდენობით:

კომპანიის მიერ რისკ-ფაქტორთან დაკავშირებით მიღებული ყველა პირდაპირი და/ან არაპირდაპირი ხარჯი, ზიანი;

კრედიტორის უპირატესი გადაუხდელი მოთხოვნები: პლიუს

გაანგარიშების თარიღის დროს გადაფასებული აქციონერთა შენატანები;  
პლიუს

კომპანიის მიერ გაანგარიშების დღიდან 10 წლის განმავლობაში დაკარგული მოგების თანხა; პლიუს

გაზრდილი ხარჯები.

აღნიშნული თანხა „მთავრობამ“ გამოქვითვის, დაკავების, ჩათვლისა თუ საპირისპირო მოთხოვნის გარეშე უნდა გადარიცხოს კომპენსაციის მომთხოვნი მხარის მიერ მითითებულ ანგარიშზე საქართველოში ან საზღვარგარეთ კომპენსაციის მომთხოვნი მხარის მიერ რისკ-ფაქტორის შესახებ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების თარიღიდან 90 (ოთხმოცდაათი) დღიან პერიოდში.

კომპენსირებული მხარის მიერ თანხის მიღება წინამდებარე მუხლის საფუძველზე არ შელახავს ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებულ მის უფლებებს და აგრეთვე ხსენებული მხარის უფლებას, მიიღოს კომპენსაცია ან გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის საშუალება ურთიერთგაგების მემორანდუმისა და/ან საქართველოს კანონმდებლობის სხვა დებულებებზე დაყრდნობით.

III. მე-14 მუხლის 2 პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობის მიერ „კომპანიისთვის“ კომპენსაციის გადახდის შემდეგ ყველა კომპანიის კუთვნილი მატერიალური და/ან არამატერიალური აქტივი, წარმოქმნილი და/ან დაფინანსებული საქართველოს მთავრობის მიერ ანაზღაურებული თანხით, და პროექტის განხორციელების უფლება გადავა

საქართველოს მთავრობის საკუთრებაში ყოველგვარი (მათ შორის მესამე პირების) უფლებრივი დატვირთვის გარეშე.

**9) მუხლი 15 - ფორს მაჟორი და მისი შედეგები**

შეიცვალოს მემორანდუმის მე-15 მუხლის დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი და „ა, ბ, გ და დ“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა) ომი, სამოქალაქო ამბოხება/აჯანყება, თავდასხმები ან ტერორისტული აქტები, საბოტაჟი, საბრძოლო შეტაკებები, გაფიცვები, ქვეყნის დაპყრობა, რევოლუცია, გარეშე მტრების ქმედებები ან ბლოკადა საქართველოში ან მისი მონაწილეობით;

ბ) მასშტაბური ბირთვული და ქიმიური დაბინძურება;

გ) ბუნებრივი კატასტროფები, როგორცაა მიწისძვრა, წყალდიდობა, შტორმი, ზვავი, მეხი, ეპიდემია და ხანძარი;

დ) ბოიკოტი, სანქციები ან ემბარგო დაწესებული საქართველოზე.“

ე) მხარეთა მიერ არაკონტროლირებადი მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენს და პარალიზებას უკეთებს ენერგოსისტემის გადამცემ საშუალებებს.“

**10) მუხლი 16 - ამოღებულ იქნას მემორანდუმის მუხლი 16 სრულად.**

**11) დამატებითი პირობები**

(ა) წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით, შპს „ენერგოტრანსი“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ და სს „საქრუსენერგო“ სრულად უერთდებიან ურთიერთგაგების მემორანდუმს და წარმოადგენენ მის სრულუფლებიან მხარეებს

(ბ) ურთიერთგაგების მემორანდუმის მე-17 მუხლის თანახმად გაფორმებული წინამდებარე შეთანხმება შედგენილ იქნა ინგლისურ და ქართულ ენებზე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ვერსიას გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს.

(გ) ურთიერთგაგების მემორანდუმის სხვა დებულებები დარჩება უცვლელი და სრულად შეინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

(დ) წინამდებარე შეთანხმება შეადგენს მხარეთა მიერ 2007 წლის 29 მაისს ხელმოწერილი და 2009 წლის 10 აპრილს შესწორებული ურთიერთგაგების მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე



შპს „ენერგოტრანსი“

კახა სეხნიაშვილი



სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

სულხან ზუმბურიძე



სს „ელექტროენერგეტიკული სისტემების ეროვნული ოპერატორი“

ირინა მილორაძე



შპს „საქართველო-ურბან ენერჯი“

ნოდარ კურტანიძე



მურათ ქუჩუქი

სს „გეს საქრუსენერგო“

ჭიძინა ჭიჭინია

